№ 11 თბილისი ივნისი 1958
ნიანგი
გამოცემის XXXVI წელი ფასი 2 მან.

გააჩნია არც ერთი ჩრდილოვანი მხარე.



ნახ. გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

09 05

არაბულ ციფროლოგიაში 0 (ნოლი) უპირველესი რიცხვია, 9 კი—უკანასკნელი, მათი შეერთება გვაძლევს 09-ს, ხოლო ეს უკანასკნელი ქართულად „სპრავოჩნის“ ნიშნავს. რას გვაძლევს 0-სა და 9-ს შეერთება ტელეფონზე? ნოლისა და ცხრის შეერთება გვაძლევს „ტუ-ტუ-ტუ-ტუ“-ს, რაც დაკავებულს ნიშნავს, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ნოლი მთელი და ცხრა მეათედი იმედი იმისა, რომ ცნობათა ბიურომ გიპასუხოს. ამისათვის, ვფიქრობთ, საჭიროა კიდევ ერთი ცნობათა ბიურო, რომელიც გაგვაგებინებს რატომაა ცნობათა ბიურო ყოველთვის დაკავებული, რატომ არ პასუხობს და, როცა პასუხობს, რატომ აუცილებლად რუსულად პასუხობს, თუ რუსული არ იცის კაცმა, როგორ გაიგოს?! გასაგებია?

არანაკლებ საინტერესოა რას გვაძლევს 0-სა და 5-ის შეერთება. ნოლისა და ხუთის შეერთება გვაძლევს შესაძლებლობას დავუკავშირდეთ დაზიანების ბიუროს. ამასთან დაკავშირებით, ტელეფონზე უნდა აკრიფოთ 0 და 5, თუ მოხდა სასწაული და „ტუ-ტუ-ტუ“-ს ნაცვლად ადამიანის ხმა გაიგონეთ, იგი დაახლოებით ასე გაგეპაექრებათ:

— ალო! ბიურო პავრეჟდენია გავარიტ.
— კაცო, „სპრავოჩნი“ არ მუშაობს?
— ნე სლიშნო, გრომჩე!
— „სპრავოჩნი“ გაფუჭებულია?
— არ ისმის!
— ალო! ცნობათა ბიურო რატომ არ მუშაობს?
— ეს ბიუროპავრეჟდენიაა, სამშობიარო არ არის.
— ალო!
— ტუ-ტუ-ტუ!

ამის შემდეგ უნდა დარეკოთ ცნობათა ბიუროში, რომ გაიგოთ, ხომ არ შეგეშალათ დაზიანებათა ბიუროს ნომერი, მერე დაზიანებათა ბიუროში—რატომ არ მუშაობს ცნობათა ბიურო, მერე ისევ ცნობათა ბიუროში—რატომ არ მუშაობს დაზიანებათა ბიურო. დაბოლოს, უნდა რეკოთ, რადგან ტელეფონი იმიტომაა, რომ ადამიანმა რეკოს და რეკოს.

ნახ. დ. ერისთავისა

— მშვენიერი გოგონაა, ხუთ ენაზე ლაპარაკობს, მეტი რა გინდა?
— ბიჭო, ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკეს ვერ უძლებს, გინდა დამღუპო?!

„ნ ი ა ნ გ ი ს“ თ ა ს ი

შოთა რომ უბრწყინვალესი ადამიანი იყო, ეს თვითონ მისმა დაუძინებელმა მტერმა ანტონ კათალიკოსმაც კი აღიარა და, თუმცა ისიც კი განაცხადა ანაფორაში გახვეულმა ბნელეთის მოციქულმა: „ამაოდ დაშვრა, საწყალ არს ესე“-ო, მაგრამ ისტორიამ, ამ მიუკერძოებელმა მოსამართლემ, თვალნათლივ დაანახვა კაცობრიობას, ვინ დაშვრა ამაოდ და ვინ არა...

ჰოდა, შოთამ თქვა: „უხვად გასცემდი, ზღვათამცა შესდის და გაედინებისო“.

„ნიანგის“ თასის გათამაშების მსაჯთა კოლეგიამაც ყურად იღო ეს ბრძნული სწავლება და დაჰგმო სიძუნწე თვისი—ეს უმანკიერესი მანკიერება—რამეთუ ჟამსა ყვავილობისასა იყოს ხელგაშლილი ვითარცა მზე, რომლის მანათობელი და მაცოცხლებელი სხივთა ჩქერები „ვარდთა და ნეხვთა სწორად მოეფინების“.

ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ისევ ისე, ძველებურად, კანტიკუნტად და, მაშასადამე, ძუნწად გაიცემოდა „ნიანგის“ უძვირფასესად მოოჭვილი თასი, რომლის ხელში ჩასაგდებად იღწვიან მრავალნი მოკვდავნი ამა ქვეყნისანი, რომელთა საკიცხავთა საქმეთა რიცხვი, დიახაც რომ სათანადო გვალვისა გამო, თანდათან მცირდება და მცირდება, მაგრამ არცთუ ისე, რომ ეგრეთ წოდებულ „ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად“ გადაიქცეს.

მაისის ბრდღვიალა მზისით-დღისით შედგა „ნიანგის“ თასის გათამაშების მსაჯთა კოლეგიის ისტორიულად ღირსსახსოვარი სხდომა და ხანგრძლივი კამათისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ ერთსულოვნად იქნა გამოტანილი თეთრზე შავით წასაწერი შემდეგი დადგენილება:

„ნიანგის“ თასი ამჟამად ტაშის გრიალსა და ვაშას გუგუნში გადაეცეთ:

1. მშენებლობის სამინისტროს—ზოგიერთი ობიექტის გასაოცარი, სწრაფი შენების ტემპისათვის.

2. ჯანმრთელობის სამინისტროს—რესპუბლიკის რიცხვმრავალი კურორტების კადრებით დროულად ისე დაკომპლექტებისათვის, რომ ადგილებზე ექიმები აკლდეთ, მაგრამ ქაღალდზე საქმე ისე იყოს, „წყალი არ გაუვაო“ რომ იტყვიან.

3. კინოფიკაციის სამმართველოს—იმავე რიცხვმრავალი კურორტების მაღალხარისხოვანი და რიცხვმრავალი ახალი კინოფილმებით მომარაგებისათვის.

4. ფილარმონიას—კურორტებისათვის მუშა კიტრივით ახალ-ახალი ხაესტრადო ნომრებისაგან შემდგარი მაღალმხატვრული კონცერტების მომზადებისათვის.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.
თავშეკავებას ადგილი არ ჰქონია.

რომ იყო სიცივე ძვლებში გამწვდომარი,
რაა საოცარი ამაში...
კოლმეურნეობის ორი თავმჯდომარე
შევიდა ჩაისანაში.
ას-ასი გადაჰკრეს, ტკბილი საუბარიც
მაშინვე გაება მათ შორის:
— იცოცხლე, კირილე, სულ იბედნიერე,
იცოცხლე, სიმწარე გაშოროს!
კიდიდან კიდემდე ქუხს შენი სახელი,
ისე შორს წახველი
და, თუმც დამივიწყე ყურის მეზობელი,
იცოცხლე...
გიცოცხლოს მშობელი!
— რას ბრძანებ, დიმიტრი, როგორ გეკადრება,
უგულო მიწოდე?
წესად რომ არა მაქვს კაცის დავიწყება,
არ უნდა იცოდე?
მე წარმატებისგან თავბრუ არ მეხვევა...
რას შვრები, როგორ ხარ?
— ვინც წერა ისწავლა, ყველა მე მეხება,
გამწირეს როგორღაც.
რაიონულ გაზეთშიც გამჭიმეს... არ ნახე
რანაირ დღეში ვარ?
რა ხალხში ჩავვარდი? სახალხოდ გამთათხეს...
გულიც არ შესტკივათ.
— ო, ძმაო, რას შვრები. აბა თავს რად იკლავ,
ეს სურა სულ უნდა დაცალო?
— ნაკლები დავლიო, ყელი მეტკინება,
სპილოს რას ეყოფა მარცვალი?
სმა და მე ძმები ვართ, სმაში ვარ გაზრდილი, —
არ დავლევ? —არ დამეძინება...
ძმაო, ჩვენი ხვედრი არ არის ადვილი...
მოვუსმენ შენს გამოცდილებას,
თუ გამიზიარებ როგორ მოიპოვე
ეს სახარბიელო შედეგი...
— გიამბობ, დიმიტრი, უბრალო რამეა,
აი, დაიხსომე შემდეგი:
ვილვიძებ თუ არა, საქმეში ვებმები,
საქმით ვეგებები ალიონს,
შენა კი —
შრომის დღეს იწყებ ნამთვრალევი
და
ბევრი სმისაგან ამღვრეულ თვალებით
დაეძებ კიდევ სად დალიო.

თარგმნა **ქ. მოსეშვილმა**

ამოხსნილი კროსვორდი

კვირა დღით საპარიკმახეროში საკმაოდ დიდი რიგი იდგა. კლიენტებს დროის ვერაგულად მოკვლის მიზნით გაზეთი გაეშალათ და კროსვორდის ამოხსნით ერთობოდნენ.

— კომბოჯის ერთ-ერთი სოფლის სახელი, ექვსასოიანი.

არავინ დაფიქრებულა, მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა კაცმა კოპები შეიკრა და ავტორიტეტულად განაცხადა:—არბაჯო.

პირველად ყველას ეჭვი შეეპარა ამოხსნილი სიტყვის ჭეშმარიტებაში, მაგრამ, როდესაც კროსვორდის ამოხსნა განაგრძეს და «არბაჯო» რამდენიმე სიტყვის გასაღები აღმოჩნდა, ეჭვი გაიფანტა და ახალგაზრდა კაცის ავტორიტეტიც მუხრანული კიტრივით გაიზარდა.

იგი ზედიზედ ხსნიდა ისეთ რთულ კითხვებს, როგორიცაა ინდოეთის ერთ-ერთი რელიგიური სექტა, ალფრედ ტენისონის სიყვარულზე დაწერილი ბალადის სათაური, საფრანგეთის ეროვნული გმირის როლანის ხმლის სახელწოდება, პინტორიკიოს და ტინტორენტოს ნამუშევრების დასახელება, თვითმავალი ექსკავატორის ყველაზე დიდი დეტალი და მსგავსნი მათნი.

კლიენტები პირდაღებულები შესცქეროდნენ უაღრესად განსწავლულ პიროვნებას. ისინი, როგორც ერთი, მზად იყვნენ ურიგოდ გაეშვათ იგი, ხოლო პარიკმახერები მზად იყვნენ შესცილებოდნენ ერთმანეთს ამ გენიალური კლიენტის გაპარსვაში. მოლარე ქალიც განსაკუთრებული სიყვარულით შესციცინებდა ფენომენალური მეხსიერების მქონე იშვიათობას.

კროსვორდის ამოხსნა დასასრულს უახლოვდებოდა. დარჩა მხოლოდ ერთადერთი უჯრა, თანამედროვე ცნობილი ქართველი პოეტის სახელი. კლიენტები უკვე აღარ ენდობოდნენ საკუთარ თავს,—იმედით გაბრწყინებული თვალები მიეპყროთ გენიალური კლიენტისათვის... მაგრამ იგი, თითქოს განგებ თავს იკავებდაო, ვერა და ვერ პოულობდა პასუხს.

— აი საოცრება! — წამოიძახა ერთ-ერთმა კლიენტმა, რომელსაც უკვე მოუწია გაპარსვის რიგმა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძროდა, რადგანაც ცნობისმოყვარეობის თილისმას სკამზე მიეჯაჭვა.

რამდენიმე ადგილი გათავისუფლდა. მოცდენილი პარიკმახერებიც მათდა უნებურად იძულებული შეიქმნენ ჩაბმულიყვნენ გონების სალესად თუ ტვინის საჭყლეტად გამოგონილ ასპარეზობაში.

— როგორ, ნუთუ ვერც ერთმა ვერ ამოხსენით? ეს ხომ პანტელეიმონ რეკლამიაა, ჩვენი დროის უნიჭიერესი პოეტი.

— ასეთი პოეტი არ არსებობს, ან თუ არსებობს, მეტად უჩინარი და უნიჭო ყოფილა. ალბათ ვინმე სხვა იქნება,—დაბეჯითებით თქვა შუახნის კლიენტმა.

— არავითარ შემთხვევაში, სწორედ რომ პანტელეიმონია. საოცარია, როგორ არ იცნობთ!

— ორ ლიტრას ჩამოვდივარ, ნიძლავს ვდებ, რომ ასეთი პოეტი არც არსებულა,—თქვა შუახნის კაცმა და ხელი გაუწოდა ახალგაზრდას.

— თანახმა ვარ,—უთხრა ახალგაზრდამ და მანაც ხელი გაუწოდა.

— ახლა რით დაამტკიცებ, რომ პანტელეიმონია?

— რედაქციაში დავრეკოთ.

ტელეფონის ნომრები აიკრიფა და ნიძლავი ახალგაზრდამ მოიგო. უცებ ვიღაც ვეება კაცი გადაეღობა ახალგაზრდას და ჩაკოცნა იგი.

— პანტელეიმონს ვენაცვალე, პანტელეიმონს!

პანტელეიმონის ვინაობა მისივე შედგენილი კროსვორდივით ამოიხსნა.

გამო

ნახ. ზ. ლეჟავასი

— რატომ ჩაიჭერი, ნუგზარ?
— ჩვენს ლექტორს ყურში ვერაფერი გავაგონე.
— მაგის ნაწარმოები ყველა ყურმოკრული მუსიკის ნარევია და რაღა შენი სიმღერა ვერ გაიგო?

ღიმილი

ნახ. ო. ბუმბურაძისა

— ბუხუსი არ არის, ასეთი ფიზიკური მონაცემების გოგო ფიზიკაში ჩაივრასან?!

საპატიო მიზეზი

საკონსტრუქტორიში მდივანმა ქალმა შეშფოთ თავი და დაიძახა:

— გვეტაძე—კონსტრუქტორთან!

ჩია ტანის სათვალეებიანი კაცი მაშინვე წამოიტაცა, მაგიდაზე გაშლილი ნახაზი დაახვია და მპარველის კაბინეტისაკენ გაქანდა.

— ამხანაგო სავლე! როგორც გადმოცეს, დღეს თქვენ თხუთმეტი წუთით დაგიგვიანიათ სამუშაოზე!

— პატივცემულო ბესარიონ,—მორიდებით მიუგო სავლემ.—ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი მაქვს თქვენთან შესათანხმებელი...

— მე მგონი, თქვენ სმენა არ გაგიღიათ, — შეაწყვეტინა ბესარიონმა, — და კარგადაც გაიგეთ ჩემი შეკითხვა. ნუ დაიკარგებთ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით მეშვიდეზე რიგითი კონსტრუქტორები და თქვენი დაგვიანება ყველა მათგანის დაგვიანებაც არის. ვინ მოგეცათ უფლება გაცდენილით ამ ადამიანებს უფროსესენი წუთები!

სავლე მშვიდად ისმენდა მპარველის მჭეკარე სიტყვებს...

— ამხანაგო გეგეტაძე, უმჯობესია გულწრფელად აღიაროთ დაგვიანების მიზეზი. — იყვირა მოიმინებიდან გამოსულმა მპარველმა.

— მოგახსენებთ, პატივცემული დირექტორო,—წყნარად უპასუხა სავლემ.—ახალ კონსტრუქციაზე მეშვიდის პროცესში წამოიჭრა ერთი საკვანძო საკითხი, რაც თქვენთან შეთანხმებას საჭიროებს. მაგრამ, მე თითქმის მთელი კვირაა ამაოდ ვცდილობ თქვენს ნახვას; ხან სამინისტროში ხართ წასული, ხან ავოსპლანში, ხოლო, როცა კაბინეტში ჩრთანდებით, მდივანი არ მიშვებს თქვენთან, დაკავებულიაო. მეც ავდექი და დავგვიანე სამსახურში, ვიფიქრე, ამისათვის აუცილებლად გამოძიასხვედით და სიფაქტეს მომეკეშოდა საკმაზე მესაუბრა თქვენთან.

თითქოს გვიარკარგეულ ნაკვერჩხლებს ცოცი წყალი დასხესო, ისე ჩაიფეშქა მპარველის რიხიანი ბასთან; მან სათვალეები გაისწორა და ჩაიბუტბუტა:

— გაშალე ნახაზი!..

გურამ შარაშიძე

ქალაგმული ნაკვესები

ლიტერატურულ საღამოზე ისეთი ღუმელი სუფეფდა, პუბის გაფურნას გაიგონებდით.

სიმბინეფის ამბეფმა თქვა: ფფლანე ბმაში ასაფანი ცოლი ყოფილიაო.

ქმარი ნაგრთმდა: ნეცა ენის დამოკლეფაც შემოვიდეს მოეაშიო.

ეუოგრაფიის მასწავლეფელს ლეგამიერის ბეგაპერბე ბეგაპერული განამლეფა ჰქონდა.

თვითონ ლაპარაკეთ ძეფმიდა და ქმარს უსადილოდ ცოფდა.

ისეთ ვიერო კაბეფს იეფაკდა, თავი არ გამოეყოფოდა.

ბუმბას ეერიოს: ენის ებილი დაჭირეო, და—ჩამბისეთ და დავჭერო.

ჰარი ჰარალიშვილი

ერთგული ძაღლი

ერთი ექიმი იყო და ჰყავდა ერთი ძაღლი ეულესად პატივს სცემდა, კარგად აკმევდა და ასმევდა. ჰკითხეს ექიმს:

— რითი დიამსახურა თქვენი ასეთი გულისმიერება მაგ ძაღლმა?

— როცა ავად გავდები. ფერხთით მიწვევს და ექიმს არ აკარებს ჩემს სიაალოვეს. — მიუგო მან.

ქმარი თუ კოსტუმი

თანამედროვე სტილზე მორთულ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც გვერდით ქმარი მოყვებოდა, სკოლისდროინდელი ამხანაგი შეხვდა: ძალიან გაუხარდა ამხანაგის ნახვა, მაგრამ შეხვედრის პირველადი ცერემონიის დამთავრების შემდეგ რაღაცა უკერხულობა იგრძნო. წუთით შეყოყმანდა და ენის ბორძიკით წარმოთქვა:

„გაიცანით... ჩემი... მეზობელია"

ქმარს ძველი, ბახუნებული კოსტუმი ეცვა.

ერთი თვის შემდეგ კვლავ განმეორდა ასეთი შემთხვევა.

ქმარს ამჯერად ახალშეკერილი ჩინებული კოსტუმი ამშვენებდა და ცოლმაც გაბედულად გააცნო:

„გაიცანით. ჩემი მეუღლეა!"

ამხანაგმა მხურვალედ მიეფლოცა და ქმარს კეკლუცად მიმართა:

„დიდი ხანია, რაც ჩემი ჯულიეტას ქმარი გახდითო?"

„მას შემდეგ, რაც ახალი კოსტუმი შეეძინე!"—უპასუხა ქმარმა.

ა. მუხურაძე

ნახ. თ. გიგაურისა

— რახ ყვებით, რახ? ეს კითხვა ბალეთში არ არის.

— გამოგრჩენიათ, პატივცემულო, და ხომ არ გამოვტოვებ?

ნახ. თ. გიგაურისა

ქალაქის მარეუბანში

აგიტატორი ლექციას კითხულობდა ერთ გარეუბანში:

— ქალაქის გარეუბანში განსაკუთრებით იგრძნობა უსუფთაობა. სიბინძურე. წყალს ნუ დაიქცევთ ეზოში.

— ალბათ იმიტომ არ გვაძლევენ წყალს, რომ ეზოში არ გადავაქციოთ.

ნახ. ნ. ბალაზონიასა

— ალარ გამგონი ეს წყნეთი, ბლექი გამიჩინა იქ ახლა-ჩამოსვლამ.

— წელს კიდევ გაუძელი, გენაცვალე, და გაიხად ახასთუმანში გაგიშვებ.

საბჭოსწერო დეპეშა

ერთმა მისალოცმა დეპეშამ საიუბილეო სხდომაზე დამსწრეთა შორის მორიდებული სიცილი გამოიწვია, ოვით იუბილარი კი შიშისაგან გაფითრდა და ცახცახი აუვარდა. დეპეშის შინაარსი ასეთი იყო:

„ბილოცავ დაბადებიდან სამოცდახუთი წლისთავს. იმედია, მალე გვესტუმრები და მაშინ პირადად გადმოგცემ ჩემს წრფელ სიხარულს".

დეპეშა გამოეგზავნა აწ განსვენებულ პროფესორს ათი დღის წინათ.

ნახ. ჯ. ლოლუაისა

— შორს არ წახვიდე, ზღვამ შეტაკუუბა იცის და მერე დაგახრჩობს.

— მაგი მაშინ უნდა მცოდნოდა, შენ რომ მომყავდი, თორემ. ახლა სულ ერთია ჩემთვის.

რა ექიმი დასნეულდეს

ერთმა მეტად მომხიბლავი გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა უცოლო ნეკრომათოლოგს შესჩივლა: უძილობა შემომეწყია, მადა დაკარგე, გულის ფრიალი და თავის ტკივილები მაწუხებსო.

— თქვენთვის აუცილებელია სულიერი მეგობრის ბრუნველი ხელი. — ალერსიანად უთხრა ექიმმა. — გათხოვდით. ჩემო კარგო!

— გათხოვილი ბალლავართ, — მიუგო პაციენტმა.

— მაშ გაეყარეთ ქმარს და მერე მომმართეთ, — ცივად დასძინა ექიმმა.

გ. ზაშიანი

სიამოვნება

— რა არის სიამოვნება? — დაისვა ეს საკითხი ერთ-ერთ საზოგადოებაში და ერთმა ექიმმა ასე უპასუხა კითხვას:

უდიდესი სიამოვნებაა, კაბინეტში შემოსული ლამაზი პაციენტი ქალი კბილის ტკივილს უჩივდეს, შენ კი კულს უსინჯავდეო.

გიგა მაჩხილაძე

ნახ. ე. ბერძენიშვილისა

— როგორ გგონია, მაგის მოყოლილი ამბავი ცოტა შეფერადებული არ არის?

— ბიბოს! შენი არ მიკვირს?! ასეთი შეღებილი ქალისაგან შეფერადებულ ამბავს რომ ელი!

— ეს კაცი ჩემი მეზობელია, საწყალს ცოლი სულ თავის ჭკუაზე ატრიალებს.

— ეგ ამ ქალის პროფესიული „მანკია“, სამსახურში ორმოც დაზგას ატრიალებს.

ლექსიკონი

სათვალე— სერიოზულობის იოლი საშუალება.

მწვადი— შამფურით განგმირული უწვავი ხორცი.

ამინდის ბიურო— ადგილი, სადაც ციებ-ცხელებას განიცდიან, რადგანაც არ იციან, ეცემება თუ ეცხელება.

ოფიციანტის ჯიბე— შეცდომებზე იზრდება.

აგური— ფშვნადი რამ, განსაკუთრებით კარგად იფშვნება თავზე.

კატა— ცოცხალი საფანგი.

ხაფანგი— მკვდარი კატა.

კალამი— ბრმა იარაღი ზოგიერთის ხელში.

გრამატიკა— ლაპარაკით უფრო ადვილად სწავლობენ გრამატიკას, ვიდრე გრამატიკით ლაპარაკს.

ზოთა

ლია ბარათი

თბილისის საჰაპანო ტრანსპორტის არტელის თავმჯდომარეს

ამხ. **გ. მ. შავდიას**

პატივცემულო გრიგოლ, ამ ბოლო დროს თბილისის საჰაპანო ტრანსპორტის არტელის ავტომობილები თქვენს თვალთახედვიდან უტარო დანასავით იკარგებიან... გადაიკარგებიან ეს სპილოზე დიდი მანქანები, გაივსებიან თქვენი არტელისათვის უცხო, აკრძალული ხილით, შემდეგ ისევ გაქრებიან და უეცრად სადმე ხარკოვში, როსტოვში ან მოსკოვში ამოამზეურებენ ხალტურით სავსე ზურგს. ალბათ იტყვით, იქ რა უნდათ ამ ღმერთგამწყრალებს, უმანქანობით თბილისში გვიცდება სამუშაოები. მეც სწორედ ეგ მიკვირს, საყვარელო გრიგოლ, და ამ საკითხზე მინდა მოგელაპარაკო:

ჩ.ი.ტკორესპონდენტმა ამბავი მომიტანა, ხარკოვ-როსტოვის გზაზე დაკავებული ავტომანქანა გაზ. 51 №-გც 42-92 თბილისის საჰაპანო ტრანსპორტის გარაჟიდან არის გაპარული და ავტომძღოლ ა. ს. სარაგატიანის ხალტურით ნაშოვნი ფული ერთი პროცენტითაც არ გაეხახუნა არტელის სალაროსო. ნეტავი თუ მართალია ეს, საყვარელო გრიგოლ?

იგივე მანქანა ჯერ კიდევ ამა წლის თებერვალში ავტომძღოლ რ. ა. მანასიანმა თბილისიდან უკვალოდ გააქრო და ორი კვირა თავი მოანატრა თბილისის საჰაპანო ტრანსპორტის არტელის ხელმძღვანელობასო. მართალია, ორი კვირის შემდეგ მანასიანმა საღსალამათად ჩამოაღწია თბილისში, მაგრამ მანქანამ გაოჩნებული ვირივით ზესტაფონში გასწია გაქირი და, მიუხედავად ჩხუბისა და მუდარისა, იქიდან ერთი კვირა ფეხი არ მოიცვალაო; დავიჯეროთ თუ არა ეს ამბავი, ძვირფასო გრიგოლ?

იგივე მანასიანი 1956 წელს მოსკოვში და გროზნოში ხილის სისტემატური არალეგალური ზიდვისათვის და ხალტურა-გამორჩენაზე გულისაჩუყების გამო ორი წლით მუხლშესასვენებელ ადგილას იჯდა და იქიდან გამოსვლისას თქვენს მიერ სიყვარულითა და პატივისცემით იქნა დაბრუნებული თავის ძველს ადგილზეო.

შენ ხომ არ იცი ამის შესახებ რაიმე, გრიგოლ მიხეილის-ძევ?

ამბობენ, ხარკოვ-როსტოვის გზაზე თქვენი ავტომძღოლები არტელ „ტრანსპორტნიკის“ მანქანებსაც ნახულობენ და მათი შორეული შრომა-მოღვაწეობა ისე გავს თქვენი ზოგიერთი ავტომძღოლის მოქმედებას, როგორც ერთ ძუძუზე გაზრდილი ტყუპი ძმანი გვანან ერთმანეთს სიჭაბუკისას.

იქნება ესეც მართალი იყოს, პატივცემულო გრიგოლ?

არტელი და არტალა ორივე რომ გემრიელია, რა გესწავლება, გრიგოლ მიხეილის-ძევ, მაგრამ კარგი იქნებოდა ეს სამარცხვინო საქმე მოძმე რესპუბლიკების ავტოგზებზე არ გაგეტანათ და შეურაცხყოფა არ მიგეყენებინათ თქვენი არტელის სახელისათვის.

მიგულეთ მუდამ თქვენთან

ნიანგი





279
30/44



უტექსტო ხუმრობა

განცხადებები

კოსმოსში მოგზაურობისას დამეკარგა ბავშვი, ოთხი წლისა, ცისფერთვალებიანი, ქერა, აცვია თბილისის ფაბრიკებში დამზადებული ტანსაცმელი; მნახველებს ვთხოვ მაცნობონ შემდეგი მისამართით: მარსი, მეშვიდე პარალელი, კურორტი «სიჯანსაღე».

— „ —

ვცვლი პლასტმასის 120 კვმ ბინას საბურთალოდან იუპიტერზე თანაბარ ფართობზე.

— „ —

ვყიდი იდეალური «ცოლის» ტიპის კიბერნეტიკულ მანქანას. მანქანა რეცხავს, კერავს, აუთოებს, ამზადებს მრავალნაირ საჭმელს, არ მოითხოვს აგარაკსა და ტანსაცმელს, აგრეთვე, მექანიკურად გამოთიშული აქვს ჩხუბისა და აყალმაყალის უნარი.

— „ —

ნეპტუნის საოცრებათა საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს, რომ მიღებულია ხელოვნურად დამზადებული მხატვრის, პოეტის, არქიტექტორის, მსახიობისა და სხვათა გენიალური ტვინები. უტვინოებს შეუძლიათ ტვინის გადანერგვა აწარმოონ ინსტიტუტთან არსებულ ქირურგიულ განყოფილებაში.

— „ —

ენგურის მიერ «მთვარის მოტაცებით» აღშფოთებული იუპიტერის მკვიდრნი ა. წ. 30 ივნისს აწყობენ ამ რომანის საჯარო განხილვას. ისინი იმედოვნებენ, რომ განხილვაზე აღდგენილ იქნება მთვარის ტერიტორიალური სუვერენიტეტი. დედამიწიდან მოსული სტუმრები განხილვაზე არ დაიშვებიან.

— „ —

მთვარეზე საგასტროლოდ გაემგზავრა ფილარმონიის კოსმიური საესტრადო ბრიგადა. პროგრამაშია: მზის დაბნელება საქართველოში, ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ, ოხ, მთვარევ, მთვარევ, მზე ჩადის და მთვარე ამოდის, მზეო, ამოდი, ამოდი.

— „ —

მერკურის ზოოპარკის ადმინისტრაცია კოსმოსში მონადირეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზოოპარკიდან თანავარსკვლავედში გაიპარა ორი დათვი—დიდი და პატარა. მონადირეებს ვთხოვთ ნანადირევის ტყავი ჩააბარონ დამზადებას.

— „ —

როგორც მარსის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დედამიწაზე დამზადებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი, ხოლო სიგარეტ «პრიმაში», მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მცირე დოზით გარეული იქნა ლაგოდეხის თამბაქო.

— „ —

საპლანეტთაშორისო გზის ინსპექცია იუწყება, რომ გალაქტიკურ ტრასაზე გადაბრუნდა საბარგო «ატომსამოსვალი გაზ 19958-ა», რომლითაც მერკურიდან ვენერაზე გადაჰქონდათ ბავშვის საზაფხულო ფეხსაცმელები. ავარიის ადგილზე საქონელი ვერ იქნა აღმოჩენილი. თუ დედამიწაზე ჩამოცვივდეს, გთხოვთ შეგვატყობინოთ.

ულტრამოკლე რომანები

უბედური შეხვედრა

წერიღებს „მოკითხვამდე“ ფოსტაში ქმარმა და ცოლმა ერთსა და იმავე დროს მიაკითხეს.

ბელეტრისტი აგარაკზე

ერთმა მწერალმა, როდესაც დაინახა, რომ აგარაკზე დამსვენებლები უმეტესად საკუთარი რომანებით იყვნენ გართულნი, მოთხრობის წერას თავი მიანება და კრიტიკულ წერილებს მიჰყო ხელი.

— რა მოკლე სტატიებსა წერთ?—უთხრეს მას დამსვენებლებმა.

— თქვენს რომანებზე უფრო მოკლე ხომ არ არისო!—მიუგო მწერალმა.

ა. ბახილაია

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: ა.კ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 11. ხელმოწ. დასაბ. 9/VI-1958 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.

შეკვ. № 681. უე 02695. ტირ. 40.000.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგიერთი დიპლომატის პროფესიული შიში

— ამ მრგვალ მაგიდას შემოუსხედით, მისტერ!

— გახსოვდეთ, რომ მე მრგვალი მაგიდის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ!